ხარების დღესასწაული აღინიშნა

ხარება — ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული ქრისტიანულ ეკლესიაში. აღინიშნება 7 აპრილს. ლუკას სახარების მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზმა მარიამ ღვთისმშობელს ახარა, რომ იგი შობდა იესო ქრისტეს, ძეს ღვთისას.

ოზურგეთის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში სადღესასწაული წირვა აღავლინა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა, მეუფე იოსებმა.

მეუფე იოსებმა, რომელსაც აღსაყდრებიდან 28 წელი შესრულდა, მოუწოდა მრევლს გაუფრთხილდნენ ბზას, რადგან იგი უდიერი მობყრობით გადაშენების პირასაა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 8 (10452) 10 აპრილი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

დავით შემოქმედელი 70 წლისაა!

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, პოეტი დავით შემოქმედელი 70 წლისაა.

პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი დავით ტაკიძე, ლიტერატურული ფსევდონიმით დავით შემოქმედელი 1953 წლის 8 აპრილს დაიბადა სოფელ შემოქმედში.

სხვადასხვა წლებში იყო და არის: ქართული კულტურის დესპანი, ისრაელის ქართული კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტი;

გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, ნიკო ლორთქიფანიძის, ივანე მაჩაბელის, ვ.ემალ აჯიაშვილისა და სხვა პრემიების ლაურეატი;

ქართულ-გერმანული და ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათავის დაჯილდოებულია გერმანიისა და ისრაელის საპატიო სიგელებით;

დავით აღმაშენებელის აკადემიის საპატიო პროფესორი; საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; გამომცემლობა „დავითის“ დირექტორი; გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“, „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორი.

არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე;

დღემდე გამოცემული აქვს ერთტომეულები: „ტაძართან“ (1990 წ.), „სიტყვებს მიღმა“ (2006 წ.), „ხსოვნის ანაბეჭდები“(2013 წ.), „სიტყვებსა და საგნებს შორის“(2021 წ.

ქართულ და უცხოურ ენებზე დღემდე გამოცემული აქვს ლექსების, მოთხრობებისა და ესეისტური წერილების 23 კრებული.

▶▶▶ 83–4

გურიას ისრაელის ელჩი ჰადას მეიცადი სტუმრობდა

გასულ კვირაში გურიას ოფიციალური ვიზიტით ისრაელის საგაგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქალბატონი **ჰადას მეიცადი** სტუმრობდა. როგორც მან აღნიშნა, ეს მისი პირველი ოფიციალური ვიზიტია საქართველოს რეგიონში და სასიამოვნოა, რომ ეს გურიიდან დაიწყო. ელჩს თან ახლდა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო „MASHAV“-ის საქართველოს განყოფილების დირექტორი ბატონი **გიორგი ჟღენტი.**

ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში ქალბატონი ჰადასი დაესწრო ღონისძიებას „ისრაელი და საქართველო“. ფოიეში ჩოხატაურის სახელოვნებო სკოლის, დირექტორი ქალბატონი **მზია კვინტრაძე,** მოსწავლეებმა მოაწყვეს გამოფენა „ჩვენ ვიცნობთ ისრაელს“. გამოფენილი იყო ასევე ისრაელის საელჩოს და ისრაელის საერთაშორის განვითარების სააგენტო „MASHAV“-ის ხელშეწყობით განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტო კოლაჟი. დარბაში ღონისძიება დაიწყო ისრაელის და საქართველოს ჰიმნით. შემდგომ წამყვანმა ბატონმა **გიორგი სისარულიძემ** ისაუბრა ქართულ ებრაულ ურთიერთობებზე. გაიხსენეს ჰოლოკოსტი. ისაუბრეს დღევანდელ ისრაელზე. წარმოდგენილი იყო ვიდეოკლაჟი ისრაელის ისტორიაზე. შემდეგ ისაუბრეს ისრაელის საელჩოს და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით „შალომ კლუბ გურია“სთან თანამშრომლობით განხორციელებულ პროექტებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ქართულ ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოდა **„ასამბლი ნართი“**, დაჯილდოდა ასევე კონკურსში, „წლის წარმატებული ქალბატონი“,გამარჯვებული ჩოხატაურის კულტურის ცენტრის დირექტორი „შალომ კლუბის წევრი“ ქალბატონ **თამარ კეკელიძე.** „შალომ კლუბის“ წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით,ისრაელის ელჩი ქალბატონი ჰადას მეიცადი არჩეული იქნა „საქართველო შალომ კლუბ გურიას“ საპატიო პრეზიდენტად და გადაეცა სერთიფიკათი.

ნოდარ დუმბაძის „ცისკარის“ წარმატებული დადგმა პორტუგალიაში

პორტუგალიაში, ქალაქ ბრაგაში, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და ბრაგის თეატრალური კომპანიის ერთობლივი ნამუშევრის „ცისკარი“ (ნოდარ დუმბაძე) მსოფლიო პრემიერა განხორციელდა, რომელიც ასევე პირველ საერთაშორისო წარმოდგენაზე სახელწოდებით (MIT MOSTRA INTERNATIONAL DE TEATRO /CAMINHOS SEM FRONTEIRAS) იქნება ნაჩვენები

მსოფლიო პრემიერას საქართველოს კონსული პორტუგალიის რესპუბლიკაში **ირაკლი ქოიავა,** საქართველოს დესპანი პორტუგალიის რესპუბლიკაში **ცოტნე ზურაბიანი,** ქ. პორტუგალიისა და ქ. ესპანეთის თეატრის მოყვარულთა საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასილ ჩიგოგიძემ** მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა და ბრაგის თეატრალური კომპანიის ხელმძღვანელს, რეჟისორ **რუი მადეირას** ერთობლივი ნამუშევრის წარმატებული მსოფლიო პრემიერა მიულოცა. შეგახსენებთ, რომ „ცისკარი“ – რეჟისორ **ელენე მაცხონაშვილის** საავტორო სპექტაკლია, ხოლო დადგმის ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) გახლავთ. სპექტაკლი თოჯინურ ცოცხალი პლანის სინთეზს წარმოადგენს და გამორჩეული ჰუმანისტი მწერლის ნოდარ დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ჩანაწერებზე დაყრდნობით გვიყვება.

ETA- ევროპის თეატრალური ასოციაციის ფარგლებში განვითარებული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი და ქ. ბრაგის თეატრალური კომპანია ორი სხვადასხვა კოპროდუქციის ერთობლივი წარმოებით 2023 და 2024 წლებში გეგმავს. „ცისკარი“ მთელი წლის მანძილზე პორტუგალიაში სხვადასხვა ქალაქებში იქნება ნაჩვენები, მათ შორის 2 მაისს, პორტუგალიის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელშიც 2022 წელს მონაწილეობა ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმაც მიიღო.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გიორგი ურუშაძე საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან **ჰადას მეიცადთან** გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

სახელმწიფო რწმუნებულმა ელჩს რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო. მხარეებმა, ასევე, იმსჯელეს სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადების პროცესი დაიწყო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადების თაობაზე პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მერის პირველმა მოადგილემ, **მაია კუტუბიძემ, ს**აბჭოს წევრებს გააცნო „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელო“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის 264 განკარგულება. აქვე გაიცა კონკრეტული დავალებები გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით.

შეხვედრას, მერის ბრძანების საფუძველზე, წინ უძღოდა სამუშაო და ტექნიკური ჯგუფის შექმნა.

ჯგუფში შედიან: მერი, მერის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მერიისა და საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, კერძო და არასამთავრობო სექტორის, მერის მრჩეველთა და ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები, გენდერულ საბჭოში და გენდერულ საკითხებზე მომუშავე მერიისა და საკრებულოს შესაბამისი პირები.

სოფელ ჭალაში, შიდა მიმოსვლის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭალაში, შიდა მიმოსვლის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 345 745 ლარი გამოიყო.

პროექტს კომპანია „პალადა“ ახორციელებს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძესთან** ერთად ადგილზე დაათვალიერა მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

გურიის საკალათბურთო სკოლებს საჩუქრად სპორტული ინვენტარი გადაეცათ

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის რეგიონული განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებითა და ფიბა-ს ახალგაზრდობის განვითარების ფონდის (Youth development Fund) მხარდაჭერით, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა,** რეგიონული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელ **შალვა ონიანთან** ერთადადგილობრივ ფედერაციას გურიის საკალათბურთო სექციებისთვის სათამაშო ბურთები, საკალათბურთო ფარები, სათამაშო ფორმები, ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის დრიბლინგის დასახვეწად საჭირო სპეციალური სათვალეები გადაეცათ. მწვრთნელებს დაურიგდათ პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო დაფები, სასტვენები და სხვადასხვა სპორტული ატრიბუტიკა.

ოზურგეთის ვახტანგ ბლაგიძის სახელობის სპორტულ დარბაზში კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილი,** რეგიონის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლაშა თოიძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ.

ფოტოკონკურსი – რა ყოფილა გურია

ჩოხატაურის ახალგაზრდულ-სტუდენტური გაერთიანებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქალებისთვის“ ინიციატივით, ფოტოკონკურსი „რა ყოფილა გურია“ ჩატარდა.

გამარჯვებულები ფოტოგრაფმა **გოგა ჩანადირმა** გამოავლინა და კონკურსის მონაწილეებს ივლიტას ბიბლიოთეკაში მასტერკლასი ჩაუტარა.

I ადგილის მფლობელი ანა ხუნდაძე გახდა; II ადგილი მარიამ დუდუჩავამ დაიკავა; III ადგილი წილად ერგოთ მარიამ ბარამიძეს, თიკო ფუტკარაძესა და საბა ჯინჭარაძეს.

გამარჯვებულ კონკურსანტებს მუნიციპალიტეტის მერიისგან ფულადი პრიზები გადაეცათ.

ევგრაფი შევარდნაძის თასის გათამაშება ფეხბურთში

ლანჩხუთში, გვიმბლაურის საფეხბურთო აკადემიის სტადიონზე გაიმართა ევგრაფ შევარდნაძის სახელობის თასის გათამაშება 2010-2011 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის

ფინალში ლანჩხუთის „გურია“ ქუთაისის „მართვეს“ დაუპირისპირდანენ ერთმანეთს. გამარჯვება ლანჩხუთის „გურიას“ გუნდს ხვდა წილად.

საფეხბურთო მატჩს ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** და რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი **დავით მუჯირი** ესწრებოდნენ.

„გურიას“ ევგრაფ შევარდნაძის სახელობის თასი ალექსანდრე სარიშვილმა გადასცა და მათ გამარჯვება მიულოცა.

დაბა ურეკში, შშმ პირთა დღის ცენტრი გაიხსნა

დაბა ურეკში, შშმ პირთა დღის ცენტრი გაიხსნა.

ცენტრი ფსიქოლოგმა და ფსიქოთერავპეტმა ლია სერგეევნამ ევროპის და ამერიკის დონორი ორგანიზაციების თანადგომით ააშენა და ამოქმედდა ახლებური სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია უახლოესი აპარატურით და მოწყობილობით, რაც ბავშვების რეაბილიტაციისათვის არის საჭირო.

როგორც აბილიტაციის ცენტრის ექიმმა **ქეთევან მელიქაძემ** გვითხრა, ცენტრის გახსნა მოსკოველი ფსიქოლოგის, ფსიქოთერაპევტის, 39 წლის ლია სერგეევას სახელს უკავშირდება.

– ლია სერგეევნას პატარა სერაფიმეს საშინელი ავადმყოფობა –პოლიომიელიტი დაუდგინდა. გერმანია-შვეიცარია- ისრაელის სახელგანთქმულ კლინიკებში მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. მშობლები ბედს მაინც არ შეურიგდნენ და ინტერნეტსივრცეში იპოვეს ერთი დამაიდებელი ინფორმაცია, რომ ბავშვებში გამოვლენილი დამბლის, რაქიტის, სამშობიარო ტრავმების, საყრდენ-მამოძრავებელი და ნერვიული დაავადებების დროს საუკეთესო შედეგს იძლევა შავი მაგნიტური ქვიშა, რომელიც შავიზღვისპირა კურორტ ურეკშია.

ასე იპოვეს გამოცენილი კურორტოლოგი, შუქრი თავართქილაძე და პატარა სერაფიმე ურეკში ჩამოიყვანეს. მე, როგორც ექიმი ვხედავდი, როგორ დადებითად იქმოქედა მაგნიტური ქვიშით მკურნალობამ, ბავშვის ორგანიზმში საოცარი ცვლილებები მოხდა, ენის ამოდგმა-ამეტყველება, საიცოცხლო ორგანოთა ამოძრავება...მოკლედ საოცარი შედეგი იყო და მადლიერმა ოჯახმა ცხოვრების მიზნად ქველმოქმედება დაისახა. დონორი ორგანიზაციების (ერთ-ერთი ისრაელის „მაშავია“) აშენდა და ამოქმედდა ახლებური სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრი. თუ თავდაპირველად 2 ბავშვს ვმკურნალობდით, ამჟამად მათი რიცხვი ორმოცდასამამდე გაიზარდა – გვითხრა ქეთევან მელიქაძემ.

დღის ცენტრი 6 აპრილს ოფიციალურად გაიხსნა. გაზეთ „ალიონთან“ ცენტრის მენეჯერმა **ნინი შეწირულმა** გააკეთა კომენტარი:

–პროექტს თამარ დუმბაძე ხელმძღვანელობს. ეს მეორე პროექტი გახლავთ. ეს ერთადერთი სარეაბილიტაციო ცენტრია საქართველოში, რომელიც ბენეფიციარებს უსასყიდლოდ უზრუნველყოფს საცხოვრებლით, რათა მკურნალობის პროცესი იყოს უწყვეტი და ხელმისაწვდომი. დღის ცენტრში აბილიტაციაზე 50-მდე ბავშვი დგას რიგში.

დღის ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს შშმ პირთა უნარ-ჩვევების განვითარებას და სრულყოფას, რომელიც მათ დაეხმარებათ სოციალურ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და დამოუკიდებლად ფუნქციონირებაში – გვითხრა ნინი შეწირულმა.

ღონისძიებას ოზურგეთის მერის მოადგილე **ნათია გოლიაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ნინო ჭანიშვილი,** გამოჩენილი კურორტოლოგი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი **შუქრი თავართქილაძე,** ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

რაც შეეხება ქველმოქმედ ქალბატონს ლია სერგეევას, მას გადაწყვეტილი აქვს ურეკში ააშენოს ახლა უკვე 8 წლის სერაფიმეს მფარველის, ბავშვთა მფარველი წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესია.

ბახვი ჰესის კონკურსი „დედამიწის დღე ყოველდღე“

22 აპრილი დედამიწის დღეა, სწორედ ამ თარიღის აღსანიშნავად, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის კონკურსი სახელწოდებით „დედამიწის დღე ყოველდღე“გამოცხადდა. ღონისძიების ორგანიზატორია ბახვი ჰესი, რომელიც უკვე მეორე წელია რაც ამ დღეს აღნიშნავს გურიაში. კონკურსის კურატორი კი, ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი **ლელა მდინარაძეა.**

საკონკურსო დავალება სამი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით არის გადანაწილებული: მოცემულ თემაზე დაწყებითი კლასების I – IV, მოსწავლეებმა უნდა შექმნან ნახატი, V – VIII კლასის მოსწავლეებმა გააკეთონ აპლიკაცია / პოსტერი, უფროსკლასელებმა IX – XII კი, დაწერონ ესსე. კონკურსის მიზანი, ერთი მხრივ, გარემოსდაცვის საკითხების მიმართ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, მეორე მხრივ კი, აღნიშნულ სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების წახალისებაა. ორივე სკოლა დამოუკიდებლად იღებს კონკურსში მონაწილეობას, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში კი, ჟიურის წევრები სამ გამარჯვებულს გამოავლენენ. კონკურსს სულ 18 გამარჯვებული ეყოლება. ღონისძიებაში მონაწილეობის სერტიფიკატს კი ყველა მოსწავლე მიიღებს.

„22 აპრილს მთელი მსოფლიო დედამიწის დღეს აღნიშნავს. ამ დღის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ მომავალი თაობის ცნობიერების ამაღლებაა. ბახვი ჰესის მიერ გამოცხადებული კონკურსი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. აღსანიშნავია, რომ კომპანიის სოციალური პროექტების დიდი ნაწილიც საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. ვაცნობიერებთ, რომ ახალგაზრდებისთვის განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლება არსებული გამოწვევების დაძლევის საკუთესო გზაა. თითოეულ ადამიანს აქვს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება. დედამიწის ბუნებრივი რესუსრების დაცვა კი ყველა ჩვენგანის ვალდებულებაა“- აცხადებს ლელა მდინარაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი, ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

„გამოცხადებული კონკურსით მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლის მოსწავლეების დიდი ნაწილი უკვე დაინტერესდა, რაც ცხადია, გვახარებს. ჩვენ სპეციალურად შევიძინეთ კონკურსის დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო საკანცელარიო ნივთი და გადავეცით სკოლებს. სკოლებში ასევე, გამოკრულია კონკურსის წესები. დირექტორები და მასწავლებლები, თავის მხრივ, გვეხმარებიან მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელებასა და მათთვის კონკურსში მონაწილეობისათვის შესაბამისი გარემოს შექმნაში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ ამისთვის. კონკურსს დამოუკიდებელი ჟიური ჰყავს, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულებს. მოსწავლეებს კი ვუსურვებ წარმატებას“– განაცხადა ბახვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

სკოლების დირექტორებისთვის ნამუშევრების ჩაბარების ბოლო ვადა 2023 წლის 14 აპრილია. კონკურსის გამარჯვებულები კი, 2023 წლის აპრილის ბოლოს გამოვლინდებიან.

საპრიზო კატეგორიები პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მოსწავლეებისთვის განსხვავებულია.

გაზაფხულის ჩემპიონატის გამარჯვებულია სოფელ ძიმითის გუნდი „იღბალი და ინტელექტი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე – ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა რა? სად? როდის? გაზაფხულის ჩემპიონატის ფინალი, რომელშიც მონაწილეობდნენ:

ძიმითი „იღბალი და ინტელექტი“; ბახვი „შევარდენი“; ლაითური „გიგანტი“; მაკვანეთი „ლაბირინთი“.

რა? სად? როდის? გაზაფხულის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა სოფელ ძიმითის გუნდი: “იღბალი და ინტელექტი”

ადგილები ასე გადანაწილდა:

II ადგილი – ლაითური “გიგანტი”

III ადგილი – ბახვი “შევარდენი”

IV ადგილი – მაკვანეთი “ლაბირინთი”.

გამოვლინდა საუკეთესო მოაზროვნეები – მალხაზ სამსონია და ლია კოტრიკაძე.

„არწივების“ რეკორდი –ყველა მოგებული მატჩი

ქ. გორში, უკვე საქართველოს ჩემპიონი რაგბიში ოზურგეთის „არწივები“გათამაშების უიმედო აუტსაიდერს „ბორჯომს“ შეხვდა და დიდი ანგარიშით 78:17 დაამარცხეს.

„არწივებმა“ ამ გათამაშებაში 18-ვე შეხვედრა მოიგეს (16 ბონუს ქულით), გაიტანეს და მიიღეს 918/251 ბ/ს+667 , 88 ქულით ლიგის რეკორდი დაამყარეს.

მეორე ადგილოსან „არმიას“ 74 ქულა აქვს., ხოლო მარნეულის „არმაზი“ 55 ქულით მესამე ადგილზე გავიდა.

ოზურგეთის „არწივები“ 21,22,23 აპრილს ქ. ოზურგეთში, ცენტრალურ სტადიონზე პლეიოფის მატჩში თბილისის „არმიას“ დაუპირისპირდება. ვუსურვოთ „არწივებს“ წარმატებები!

უფასო ტაქსი –ჯემალ კეჭაყმაძე ჩვეულ ამპლუაში

ალდგომას, 16 აპრილს – ოზურგეთელი ჯემალ კეჭაყმაძე თავისი ავტომობილით კვლავ უფასოდ მოემსახურება ოზურგეთელებს.

უკვე მრავალი წელია, იგი დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე („აღდგომა,“ „შობა,“ ასევე წმინდა ილიტას და კვირიკეს ხსენების დღე და ა.შ.) საკუთარი ავტომობილით უფასოდ გადაჰყავს ნებისმიერი მგზავრი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

„ ჩემო ოზურგეთელებო, მრავალი წმინდა დღეები მოგმადლოთ უფალმა და გილოცავთ „ჭეშმარიტად ქრისტეს აღდგომას.“

მიუხედავად ჩემი ასაკისა, მეძლევა საშუალება 16 აპრილს მოგემსახუროთ ჩემი მოკრძალებული ავტომობილით (ტაქსით) უფასოდ. ტერიტორიულად ტაქსით დაგელოდებით ქალაქის საკათედრო ტაძრის წინ.

მადლობას ვწირავ უფალს იმისთვის, რომ ტრადიციას არ ვარღვევ და მაძლევს ძალას ერთხელ კიდევ მოვემსახურო მგზავრებს და ვიხილო მათი მადლიერების გრძნობით სავსე თვალები –სიკეთე ხომ გადამდებია. დაე, ვაკეთოთ ერთად სიკეთე, ღმერთია ჩვენს შორის. შეგეწიოთ უფალი. ამინ“–ასე ულოცავს ოზურგეთელებს აღდგომის დღესასწაულს **ჯემალ კეჭაყმაძე.**

დავით შემოქმედელი 70 წლისაა!

ამონარიდი მომავალი წიგნიდან: დავით შემოქმედელი. „ეპოქა და მწერალი". ესაუბრა პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

იერუსალიმი, შოთა რუსთაველის ფრესკასთან 2017 წ,

ქართველი იუნკერების ხსოვნის დღე. 2021 წ.

გიორგი გოგოლაშვილი – ეგზიუპერი ამბობს: ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო... გაიხსენებდით რაიმეს ისეთს, ბავშვობის დროინდელს, რამაც განსა-კუთრებული კვალი დატოვა შენში... იყო თქვენს ცხოვრებაში ასეთი რამ?

დავით შემოქმედელი – მართალს ამბობთ, სწორედაც რომ ასეა. ჩემი ცხოვრების დასამახსოვრებელ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, რომელიც ბავშვობას უკავშირდება. ჩემი ცნობიერება ყველაზე მკაფიოდ ამ ეპიზოდიდან იწყება. კარის მეზობელს ნადი ჰყავდა მოწვეული, სახლი უნდა გადაეხურათ. ვერ ასწრებდნენ. ბინდდებოდა. ზეცა საშინლად მოქუფრული-ყო. ძლიერ თავსხმას აპირებსო, შიშობდნენ, სახურავახდილ სახლში მოსალოდნელი კოკისპი-რული წვიმა ოჯახის ნივთებს დაგვიზიანებსო. ათი-თორმეტი წლის ბავშვი ვდგავარ ჭიშკართან და ჩემ თვალწინ ხდება ეს ყველაფერი. ამ დროს ერთმა მაღალმა, ჩემთვის უცნობმა კაც-მა ჩამოიარა; დააკვირდა, ეზოში რა ხდებოდა. პირით შემოქმედის მაცხოვრის სახელობის ტაძრისკენ დადგა და ილოცა: ღმერთო, ამაღამ კარგი დარი მოიყვანეო! მართლაც, მალე ცაზე საავდროდ შემართული ღრუბლები გაქრა და ვარსკვლავები გამოჩნდა. ადამიანი სხვა არაფე-რია, თუ არა სხვის ტკივილზე თანაგრძნობით მოფიქრალი. სხვა შემთხვევაში ის ბიმასა და ინტელექტუალური ცხოველია. ამ ამბავმა, გარკვეულწილად, განსაზღვრა კიდეც ჩემი ზნეობრივი კრედო დ პიროვნებად ჩამოყალიბება.

გიორგი გოგოლაშვილი – თქვენს ბავშვობაზე, მშობლიურ სანახებზე ვისაუბრეთ, მაგრამ არაფერი გვითქამს თქვენს მშობლიურ სოფელზე, შემოქმედზე – თქვენი პოეტური ფსევდონიმის საფუძველზე.

დავით შემოქმედელი – ჩემს სოფ-ელს, ერთადერთს ამ უკიდეგანო სამყაროში, ამავე სამყაროს შემქმნელის მამა ღმერთის სახელი ჰქვია – შემოქმედი. სოფლის ცენტრში, მთაზე, კრიმანჭულივით მიხვეულ-მოხვეულ ძნელად ასავლელი აღმართის ზემოთ, მაცხოვრის სახელობის ტაძარია. მთის ძირში – პატარა მდინარეა, აკიშა, რომელსაც, როგორც აქური უხუცესები ამბობენ, ძველად მისტიკური სახელი: „აქ იშვა"! ერქვა. ამავე მთაზე აღმოსავლე-თის მხრით არის გამოქვაბული, სადაც შესვლასაც ჩემი თანასოფლელნი ეკრძალვიან. მაცხოვრის ტაძრამდე კი ძნელად ასავლელი აღმართი... ანუ მე მაქვს, ჩემი „იორდანეს მდინარე", ჩემი „ბეთლემი", ჩემი „გოლგოთა". ამდენად, უფლის სახელის მქონე ჩემი სოფელი შემოქმედი ჩემში ლიტერატურულ-ჰიპერბოლიზებულად ალუზიაა სამყაროს ცენტრისა, წმინდა მიწისა. ერთი მხრივ, რელიგიური გაზრებით ასეთი ფიქრი დიდი მკრე-ხელობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანი სადაც დაიბადა, იქიდან უმზერს სამყაროს. აქედან გამომდინარე, ქვეცნობიერში მაინც მას აღიქვამს სამყაროს ცენტრად. ამიტომ ერთგვარი სია-მაყე მიპყრობს, რომ მე, ერთი ქართველი მწერალი, იმ საოცრად იდუმალ-მისტიკურ სამყა-როში დავიბადე, შემოქმედი რომ ჰქვია.

გიორგი გოგოლაშვილი – „პოეტი დავით შემოქმედელი" – რა განცდას იწვევს თქვენში ეს სიტყვათშესამება? საკუთარი თავის აღქმა პოეტად ძნელია თუ ადვილია? როდის ხდება ეს?

დავით შემოქმედელი – ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „ღმერთო, მაპატიე პოეტობის სურვილი". პოეტურ სიტყვ-ასთან შეჭიდებას იმდენად ამაღლებულ, საკრალულ მნიშვნელობას ანიჭებდა გრანელი, რომ ერთგან თვით გალაკტიონ ტაბიძეზე ამბობს: „გალაკტიონმა დაიმახურა პოეტის სახელი". იაპონელი მხატვარი, უკიიოს სკოლის უდიდესი წარმომადგენელი კაცუსიკა ჰოკუსაი 89 წლის ასაკში წერდა: „ვკვდები და ხატვა ახლა ვისწავლეო". ერთ უკრაინელ პოეტს, სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს, იმდენად დიდი პასუ-ხისმგებლობა ჰქონდა წერის მიმართ, რომ საკუთარი ნაწერის შეხედვა აშინებდა, ამბობდნენ, სიბნელეში წერდაო. ამდენი მაგალითი ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიიდან იმიტომ მოვიყვანე, რომ ასეთივე საკრალურია ჩემთვის სიტყვა „პოეტი". ხანდახან ვფიქრობ: ცა, ვარსკვლავები, ბალახი, კენჭი, ნამი... არის პოეზია და მე „მისი ენით მოლაპარაკე".

მწერლობა ბედისწერაა.

მწერლობა ჯამია საკუთარი სულიერი ბიოგრაფიისა და სხვად ქცევის შედეგად დაგრო-ვილ ემოციათა მიტანისა მკითხველამდე

გიორგი გოგოლაშვილი – შევცვალოთ თემა... დავით, ჩვენი თაობა დიდი ისტორიული პროცესის მონაწილე გახდა, ოზურგეთში თუ დედაქალაქში თქვენ ამ მოვლენების ცენტრში იყავით. რას იტყვით, როგორ დახასიათებდით ამ პროცესს?

დავით შემოქმედელი –ერთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში გადასვლა ყოველთვის მტკივნეულია. რამაც გამოიწვია მძლავრი რყევები არა მარტო პოლი-ტიკური სტაბილურობის, არამედ განსაკუთრებით რთულად აისახა ეს ადამიანთა ცნობიერებაშიც. რომანტიკულ-ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყის ეტაპზე ჩვენ ვერ შე-ვძელით მოჭარბებული ემოციური პატრიოტიზმი შეგვეცვალა რაციონალური პატრიოტიზმით. ჩვენი კულტურული ცნობიერების ცენტრი რუსეთი, მოსკოვი, გახლდათ. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან უნისონში უნდა იყო და არ შეიძლება, რა მაღალი კულტურის მატარებელიც უნდა იყოს, სხვა ქვეყნის კულტურულ სივრცეს, მსოფლმხედველობრივად, მხატვრულ-ესთეტიკური და საზროვნო სისტემით მიება, მით უფრო, თუ იმ ქვეყნის მიერ ოკუპირებული ხარ. ჩვენში საზოგადოების ნაწილისათვის ევროპული და ამერიკული ღირებულებები – მხატვრული, სულიერი, ესთეტიკური ფასეულობები გოეთესა და თომას მანის, ფოლკნერისა და სტეინბეკის დასავლეთი კი არა, ქუჩური ევროპა და ქუჩური ამერიკაა, რაც მასობრივი კულ-ტურის თანმხვედრია; რასაც ელექტრონული თუ ბეჭდური მედიასაშუალებები ყოველდღიურად გვჩრიან და ფართო პოპულარიზაციას უწევენ. ჩვენ უნდა დავადგინოთ, რა არის ჩვენი ქვეყ-ნის განვითარების ბუნებრივი გზა, სამოქმედო სტრატეგია. რომელიც ეროვნულ ტრადიციაზე დაყრდნობით მუდმივად სრულ თანხმობაში უნდა იყოს ზოგასაკაცობრიო ღირებულებებთან. ტრადიცია-მეთქი, ვახსენე, მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველო მუდმივად მიმართული უნდა იყოს განახლებისაკენ. ეს საკითხი ყველაზე ზუსტად, მეტაფორულად ახსნა ქართველმა კლა-სიკოსმა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგში". გველი იცვლის პერანგს, მაგრამ გველი გველადვე რჩება. საქართველოც უნდა განახლდეს, მოხდეს მისი ექსტრაპოლაცია, თანამედრო-ვე მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს მხარი აუბას, მაგრამ არსით დარჩეს საქართველო.

გიორგი გოგოლაშვილი. – დავით, რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვე-ნი ქვეყანა ბოლო სამი ათეული წელია, თითქმის ერთ ადგილზე დგას და არ იძვრის?

დავით შემოქმედელი – დიდი ინგლისელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი, ეპოქალური წიგნის „ლევიათანის", ავტორი თომას ჰობსი სახელმწიფოს მანქანას ადარებს. ამ შედარების ახსნა ასე შეიძლება: მანქანის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის ძრავი. თუ ძრავად გამოყენებული არ იქნება მაღალი ხარისხის ლითონი და იქნება სხვა რამ, ვთქვათ პლასტმასი მანქანა ვერ წავა. ასეა სახელმწიფოც. სახელმწიფოს ძრავი არის რეალური ძალის მქონე პოლიტიკური ლიდერები, ინტელიგენცია. ნამდვილი პოლიტიკური ძალის ერთეუ-ლი გამონაკლისისის გარდა, ჩვენ გვყვანან ფსევდოპოლიტიკოსები, ხოლო ჭეშმარიტი ინტე-ლიგენციის სანაცვლოდ (აქაც რამდენიმე ღირსეული ინტელიგენტის გამოკლებით) – ფსევდოინტელიგენცია. ფსევდოს არ შეუძლია ნამდვილის შეცვლა. ამიტომაც გვაქვს ასეთი სტაგნაცია ბოლო ათწლეულების განმავლობაში. უფრო სწორად, ჩვენ გვიდგას ლექის აღზევების ჟამი, როცა ლექი თავშია მოქცეული, ხოლო ერის საუნჯე ადამიანები, ქვემოთ არის დატანილი.

გიორგი. გოგოლაშვილი. – თქვენი პასუხიდან გამოდის, ჩვენი მთავარი ნა-კლი ისაა, რომ ერთპირობა გვაკლია. რაც ჩვენვე გვიბრუნდება საზიანოდ...

დავით შემოქმედელი. – კი, ბატონო, მასეა სწორედ. საქართველოს დედაქალაქის ცენტრში მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის ძეგლის „დავით აღმაშენებლის" ნაცვლად ფრანგი ჟაკ დუპას პოსტმოდერნისტული სკულპტურის „ველოსიპედის" დადგმა არის ჩვენი ქვეყნის სინერგიის სიმბოლოს დისინერგიის სიმბო-ლოთი ჩანაცვლების აქტი. სიმბოლოთა ასეთი მონაცვლეობა გამოხატავს, ერთი მხრივ, ქვეყნის რეალურ მდგომარეობას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის სამომავლო ორიენტირსაც. იგი სხვაგან, ცენტრიდან მოშორებულად, შესაძლოა, დადგმულიყო, მაგრამ სტაგნაციის სიმბოლოს ძეგლი დაუდგა დედაქალაქის მთავარ მოე-დანზე, ვფიქრობ, დაუშვებელია. არსებობს გამოთქმა: „ამერიკის მუდმივი ინტერესები", „დიდი ბრიტანეთის მუდმივი ინტერესები". ეს გულისხმობს იმას, რომ ერი და ბერი, პოზიცია თუ ოპოზიცია, სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფების დიდი უმრავლესობა შეთანხმებული არიან, რა არის მათთვის მთავარი სტრატეგიული გეზი და მხოლოდ ტაქტიკაში არის პოლარიზაცია. საქართველოს ასეთი ერთიანი სამოქმედო ხაზი არ შეუმუშავებია. აქ, პირიქით, სრული აბრაკადაბრაა სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისას. ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ძა-ლების მთელი ენერგია იხარჯება იმაზე, რომ ორ დიამეტრულად სხვადასხვა მხარეს საპირისპიროდ მომართულმა ძალებმა ქვეყნის მომავალი ბუნდოვანი გახადონ. ქრესტომათიული სტრიქონებიც მუდმივად თავს ამადაც გვახსენებს: „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს„. ეს ისეთი,ლამის ცხოველური ეგოცენტრული ვიბრია, რომ ორივე ძალას ერთმანეთის განადგურება ეოცნებება და ორივე მხარე ერთმანეთის დამარცხებებით ტკბება. ბოლო სამი ათეული წელია თავგამოდებით ვიბრძვით შინ ერთმანეთის წინააღმდეგ. არჩილ სუ-ლაკაურის სტრიქონებიც სწორედ ამ რეალობის ასახვაა: „ქართველები ზეიმობენ ქართველებზე გამარვეებას". გეტყვით რომ ამ მოვლენას შესაბამისი სახელიც აქვს შადენფრეიდი, რაც ასე განისაზღ-ვრება: სიხარული, რომელიც სხვებისთვის ზიანის მიყენების შედეგად წარმოიქ-მნება. დიახ, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მეორე ნაწილის მიმართ შადენ-ფრეიდს მოუცავს.

გიორგი გოგოლაშვილი. – რამდენადაც ვიცი, ჭადრაკი თქვენთვის ჰობზე მეტია; ვიცი, გუნდურ ჩემპიონატში ორჯერ გახდით საქართველოს ჩემპიონი. ვფიქრობ, სადაც ამდენი ითქვა, ვთქვათ ორიოდე სიტყვა იმ ტურნირებზეც, როგორ გახდით მისი მონაწილე, შემდეგ – გამარვეებული.

დავით შემოქმედელი. – ერთ დღეს ნანა ალექსანდრია მირეკავს და მეუბნება, დავით, ვიცით, რომ ჭადრაკი ძალიან გიყვარს, ჩემპიონატი ტარდება და მონაწილეობა მიიღეო, სერიოზულად ვერც კი აღვიქვი, ვიფიქრე, რომელიმე სატელევიზო შოუს სჭირდება კურიოზისთვის-თქო. როცა დამარწმუნა, რომ არ ხუმრობდა, შეკშინდი, უარი ვუთხარი. მოყვარულებს შორის არისო, დამამშვიდა და შემაგულიანა. დავსთანხმდი. ვიფიქრე, მივალ, გავერთობი, თუ წავაგე, ვის რა გაუკვირდება-მეთქი.

ტურნირი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარდა. ვხედავ, ირგვლივ ყველაფერი საზეიმოდ მორთულია. ღონისძიებას ესწრებიან კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და რამდენიმე პარლამენტარი. დარბაზში შემოდიან ქართული სპორტის კორიფეები: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ორ მათგანს – ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას – კარ-გად ვიცნობდი, რომ წარმოვიდგინე, ამათ უნდა უცქირონ ჩემს თამაშს, ავღელდი. მეგობრებს ვუთხარი, ცოტა ხნით დაგტოვებთ-მეთქი. ფოიეში გავედი, რათა ყურაღება სხვა რამეზე გადამეტანა, საკონცერტო ნომრებისათვის გამზადებულ ბავშვებს შევერიე. მათთან ისე გავხალისდი, ცოტა ხანში მიმავიწყდა კიდეც ტურნირის არსებობა. როცა გამოცხადეს, შეჯიბრება იწყებაო, სრული სიმშვიდით გავემართე საჭადრაკო დაფისაკენ. ჩემთვის მოულოდნელად კარგი შედეგი ვაჩვენე. საბოლოოდ ჩვენი გუნდი ჩემპიონი გახდა, ასე მოხდა მეორედაც. სასიამოვნო მოსაგონებლად მრჩება, რომ გამარვეებულის საპატიო დიპლომი და ჩემპიონის თასი ლეგენდარულმა ნონა გაფრინდაშვილმა გადმომცა.

გიორგი გოგოლაშვილი. – დავით, ცნობილია, რომ თქვენ და არქიტექტორმა ვიგა ბათიაშვილმა საქართველოს მთავრობის წინაშე დააყენეთ ქართული კულტურისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, საქართველოში, კერძოდ თბილისში, ქარ-თული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრის – „რუსთაველის სასახლის" – დაარსების შესახებ. ამ იდეას სათავეში პირადად თქვენ ჩაუდექით. მკითხველისათვის საინტერესო იქნება, იქნებ მოგვითხროთ ამ საქმის ამბავი და ისიც, რა ეტაპზეა ის დღეს.

დავით შემოქმედელი. – თქვენს კითხვაზე რომ გიპასუხოთ, ეს საკმაოდ ვრცელი ოდისეა გამოვა. თუმცა ძალზე სერიოზული თემაა, მაგრამ ხუმრობაგარეკვით ასე დავარქმედი: „აქა ამბავი რუსთაველის სასახლისა". 2015 წელს რუსთაველის საზოგადოების მრჩეველი, აკადემიკოსი გი-გა ბათიაშვილი და მე ორჯერ გახლდით საქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან. პირველ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. მივაწოდეთ ეს წინადადება რომელიც მოიწონა..

გიორგი გოგოლაშვილი.– კონცეფციის დაწერა, როგორც ვიცი, ბატონ გიგასა და თქვენ შემოგთავაზეს.

დავით შემოქმედელი. – დიახ, ასე იყო.

გიორგი გოგოლაშვილი. – თქვენი კონცეფციის მიხედვით, რამდენად შეეხ-ებოდა ეს რუსთაველის საზოგადოებას. მგონი რუსთაველის საზოგადოების განთავსებაც იქ იგარაუდებოდა.

დავით შემოქმედელი. – ის აზრი, რომ რუსთაველის საზოგადოებას ემართა ქართული კულტურის ცენტრის, „რუს-თაველის სასახლის" კულტურული პოლიტიკა, სა-ქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. მთავარი ეს არ არის, მთავარია განხორციელდეს ჩვენი იდეა.

გიორგი გოგოლაშვილი. – როგორ ფიქრობთ, ამ საკითხზე დღეს, ამდენი ხნის შემდეგ?

დავით შემოქმედელი. – ვნახოთ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას!

გიორგი გოგოლაშვილი. – რომ თქვენს შემოქმედებაზე დაიწერა სოლიდური 540 გვერდიანი მონოგრაფია – „დავით შემოქმედელის პოეტური სამყარო". მსგავსი მოცულობის ნაშრომი, თუ არ ვცდები, ავტორის სიცოცხლეში არც ერთ ცოცხალ მწერალზე არ დაწერილა. მკითხველისთვის ეს სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა. რას იტყვით ზოგადად ამ წიგნის შესახებ.

დავით შემოქმედელი. – როდესაც პროფესორი გულნაზ გვალია გამოცხადდა ჩემ წინ და ამხელა მონოგრაფია წარმოიდგინა, მართალი გითხრათ, გაოცება მეტი იყო თუ სიხარული, ვერ გეტყვით. ასეთი დიდი შრომისათვის მადლობა ჩემგან.

გიორგი გოგოლაშვილი. – თქვენ მონაწილე ხართ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში ლიტერატურის მსოფლიო ფორუმებისა. განსაკუთრებით გვაინტერესებს თქვენი შთაბეჭდილება 2008 წელს მოსკოვში გაიმართულ მწერალთა დიდი საერთაშორისო ფორუმის შესახებ.

გვ–6

მცირე ამბავი დიდ კაცზე და კიდევ ბევრი ამბავი

„ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული - ერთსულობით, ერთგუ-ლობ-ით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, - მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალუ-ლება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვარო დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“.

არც თუ მცირე ამონარიდი, რომელიც სულ ახლახან წაიკითხეთ 1877 წლის 28 აპრილს გამოქვეყნდა სააპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიაში“ („ოსმალეთის საქართველო“ „ივერია“., 1877, 9, გვ. 1-3 (ცენზურის ნებართვა: 1877 წ., 28 აპრილი).

შეხსენებაც არ უნდა, წერილის ავტორი ილია ჭავჭავაძეა, „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი.

არც თქმა უნდა, მეტად საყურადღებო წერილია, ვერ მტერს რომ ვერ დატოვებს უყურადღებოდ და ვერც - მოყვარეს.

მტერისა და მოყვარის რაოდენობრივ თანაფარდობაზე მე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ გაივლის „სულ რაღაც“ ერთი წელი და მტერ-მოყვარისთვის აშკარა გახდება, „ოსმალთა სამასწლიანი ბატონობა“ დასრულდა!

დასრულდა და დარწმუნებული ვარ, ამ დიდებულ ამბავში სათანადოდ დაფასდა კიდევ ერთი დიდი გურულის ღვაწლი და თავდადება.

გრიგოლ გურიელზე ვისაუბრებ...

საუბარს ქრონოლოგიის დაუცველად დავიწყებ და ასევე დავასრულებ...

მაშ ასე, „არამატიანური“ კალენდრით 1886 წელია და ქშწკგ საზოგადოების საპატიო წევრების კრებულს კიდევ ერთი ღირსეული წევრი შეემატა (შეგახსენებთ, ამ დროისთვის საზოგადოება მოღვაწეობის (სწორედ, რომ მოღვაწეობის) 17 წელს ითვლის და მხოლოდ ორი საპატიო წევრი ჰყავს: **დავით ჩუბინაშვილი და ნიკო დავითის ძე დადიანი-მინგრელსკი).**

კაცი, რომელსაც რიგით მესამე წევრობის პატივი ერგო, თქმა არ უნდა, გრიგოლ გურიელია და სწორედ ამ წელს, „გურიელის ხარჯით ილია ჭყონიამ ვახტანგ VI მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ქილილა და დამანა“ გამოსცა, რომლის მთელი ტირაჟი მან წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირა. საზოგადოებას აგრეთვე შესწირა ძველებური ფულების კოლექცია, არქეოლოგიური განძი, ხელნაწერი „ცხოვრება სვიმონ მესვეტესი“ და ნაბეჭდი ხუცური ლოცვანი. გრიგოლ გურიელის ხარჯითვე დაიბეჭდა: „სიბრძნე სოლომონ მეფისა“, „წიგნი ეკლესიასტე მეფე სოლომონ ბრძენისა“ და „ქართველ მაჰმადიანთა ლოცვები“.

შეწირულობის სრულ ჩამონათვალს „ალიონის“ მკითხველი საგაზეთო წერილში („ერთ ძველი ხელნაწერების შესახებ“. (ივერია. - 1891.-28 აპრ.. - 89. - გვ.2-3) იპოვის.

და ვიდრე სურვილის შემთხვევაში ზემოხსენებულ სტატიას იპოვის, მე ერთ კითხვას დავსვამ და თავადვე დაუყონებლივ ვუპასუხებ.

„და ვინ არის წერილის ავტორი?“

ექვთიმე თაყაიშვილი!

ჰოდა, შემიძლია ახლა ეს წერილი „ალიონის“ მკითხველს აქვე არ გავახსენო/გავაცნო?!

არ შემიძლია და აი, აქაა!

„ზოგიერთ ძველი ხელ-ნაწერების შესა-ხებ // ივერია. - 1891.-28 აპრ.. - 89. - გვ.2-3

ზოგიერთ ძველ ხელ-ნაწერების შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

თავ. გრიგოლ დავითის ძის გურიე ლისაგან ჩვენ მივიღეთ ოთხი ძველი ხელნაწერი წიგნი შემდეგის წერილით:

პატივცემულო ევთიმე სვიმონის ძევ!

„ამასთანავე გიგზავნით ამა წერილის მომრთმეველის ხელით ოთხს ძველს ხელთ-ნაწერს საეკლესიო წიგნს, რომელშიაც იპოვნით შესანიშნავს ხელოვნებას ძეგლის დროების ხელითწერისა და მხატვრობისას. გთხოეთ ეს ხელთ-ნაწერი წიგნები, შემდგომ თქვენ მიერ კარგათ განხილვისა, გარდასცეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ჩემ მაგიერად.

„ეს წიგნები დიდის მეცადინეობით შევიძინე სხვა-და-სხვა კერძო კაცთაგან და კიდევ ვცდილობ, რაც შეიძლება, მეტი შევიძინო და გაახლოთ „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“, გარდასაცემათ, რათა ჩვენს მომავალს არ დაეკარგოს ესრეთნი ძვირფასნი ძეგლნი ძველის მწერლობისა და მხატვრობის ხელო- - ვნებისა. – „როგორც ეხლა დავინახე, გურიაში ძლიერ ბევრი ყოფილა სხვა-და-სხვა შესანიშნავი ძველი ხელთ.ნაწერი წიგნები, როგორც საეკლესიო, ისე საეროც, მაგრამ ჩვენში ბეჭდეის შემოღების შემდეგ ხელთ - ნაწერთა წიგნთა პატივი სრულიად დაჰკარგვიათ და მრავალი მათგანი მოსპობილა, რადგან სახევის ქაღალდის ადგილზედ: უხმარიათ.

დავშთები თქვენი მარადის ერდგული **გრიგოლ გურიელი“,**

ამ წერილში მოხსენებულ ოთხ ხელთ-ნაწერს გარდა კიდეც მივიღეთ შავ. გრიგოლ გურიელისაგან ერთი ეტრატზე დაწერილი წიგნი, ასე რომ სულ ჩვენ მოგვივიდა მისგან „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გადასაცემად ხუთი ხელთ-ნაწერი:

1) მარხვანი ინ ფოლიო დაწერილია ქაღალდზე მშვენიერის ნუსხა ხუცუარის ხელით და შემკობილია სურათებით და მშვენივრად ნახელავის მეთაურის ასოებით (ინიციალებით). ზოგი(ერთი სურათი პირდაპირ ტექსტის ქაღალდზეა ნახატი, ზოგიერთი შემდეგ არის დაწებებული, როგორც მაგალითად სერობა, ჯვარცმა, ქრისტეს დასა1ფლავება და ამაღლება. ეს მერმე დაწებებული სურათები უფრო მდაბიო ნახელავია ხეებზე და ფერადებიც სხვებისა ჰსჯობია. ?ანსაკუთრებით ლამაზია ის სურათები, რომელთაც მინიატიურული ხასიათი აქვსთ; ამგვარია მაგალითად მაცხოვრის სურათი, ლაზარეს აღდგენა და სხე. მეთაური ასოები ხელნაწერში ძრიელ ბევრია - და სხვა-დასხვა გვარისა არის. ზო/ გი ერთი წარმოგვიდგენს სხვა და/ სხვა ცხოველების თუ ფრინველების სურათს და დახატულია წითელის და შავი მელნით. აქ-იქ თავების ბო„ლოში გამოხატულია „ვაზები“ ყვავილებით. მარხვანი შეიცავს 296 ფურცელსა და გადაწერილია 1791 წ. 3ნოემბერს გიორგი კობახიძის ხელით "და ვახტანგ გურიელის ბრძანებით.

ვახტანგ გურიელი, ძე გურიელის გიორგი მე-V, თავის მეუღლე ორბელიანის ასულ მარიამითურთ დასაფლავებუმია ჯუმათის ეკკლესიაში. გუჯრებში, რომელნიც დ. ბაქრაძეს მოჰყავს თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში, ვახტანგი იხსენიება 1788 – 1812 წლებში.

აქეე მოგვყავს ერთი ლექსი, რომელიც ვახტანგს უთქვამს 1795 წ. დიდმარხვაში, და რომლიც ჩვენ გამოგვიგზავნა თავ. გრიგოლ გურიელმა, „მოძღვარსა მაწრაფ აღუარე, ცოდვასა ნუ დაფარაო, აღსარებითა ცოდვანი და ითქმის, ვითა ფარაო, ვინ ყური შექმნა, მან ქმნილი სად არ ისმინოს, არაო, და თვალთა შემქნელთა თვალთაგან ქმნილი ვით დაეფარაო“.

2) სახარება პატარა ტანისა, დაწე. რილი რბილ ეტრატზე წერილის და ლამაზის ნუსხა მხედრული ხელით.|ამგვარი თავისებური ნუსხა მხედრული ხელი ჩვენ სხვა ხელ-ნაწერებში არ შეგვხვედრია. ზოგიერთი ასოები ჰგავს ხუცურ ასოებს და საზოგადოდ წერას ძველის მხედრულის ხელის ხასიათი აქვს. ხელნაწერი შეიცავს 292 ფურცელს და უნდა ეკუთვნოდეს მე-XIV—XV საუკუნეს. გასაკვირველია, რომ ეს სახარება სრულებით, არ არის დაყოფილი თავებათ და მუხლებათ. ხოლო სათაური თითოეულის სახარებისა დაწერილია აშიაზე ხუცურის ასო-მთავრულიო. ხელნაწერს თავი და ბოლო აკლია. იოანეს სახარებისა მხოლოდ ერთი ფურცელია დაცული. ხელნაწერში ოთხთავე მახარობელის სურათი ყოფილა, მაგრამ ჩვენამდის მოუღწევია მხოლოდ მარკოზის და იოანე მახარებელია სურათს, მარკოზის სურათი უკეთ არის შენახული და საკმაოდ ლამაზი ნახელავია,

3) ითიკა-თეოლოღია და სწავლათნი მაქსიმე აღმსარებელისანი სულიერი {ნი საღმრთო მეცნიერებითნი. დაწერილია ქაღალდზე ლამაზის ნუსხა მხედრულის ხელით. გადაწერილია 1794 წ. 25 მარტს, იეროდიაკონის პორფირის მიერ დხ გაბრიელის თაოსნობით, შეიცავს 148 ფურცელს.

4) წიგნი სიბრძნისა ძისა ზირაქისა და წიგნი ეკკლესიასტე. დაწერილია ქაღალდზე ლამაზის ნუსხა ხუცურის ხელით, ხელ-ნაწერი უნდა ეკუთვნოქდეს მე-XVII-XVIII საუკ. შეიცავს (176 ფურცელს.

5) ჟამნ-გულანი ინ ფოლიო, დაწერილია ქაღადზე ლამაზის ნუსხა ხუცურის ხელით, შეიცავს 295 ფურცელს და უნდა ეკუთვნოდეს მე-XVIII საუკ.

ყველა ეს ზემოხსენებული ხელთნაწერი წიგნები გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და მათი ვრცელი აღწერილობა თავის დროზე იქმნება შეტანილი კატა|ლოგში.

თავ, გრიგოლ გურიელის უხვი შემოწირულობა ჩვენი საზოგადოებისათვის პირველი მაგალითი არ არის. გარდა იმისა, რომ მან მთლად გად(მოსცა „წერა-კითხვის საზოგადოე|ბას “ მთელი გამოცემა „ქილილა და დამანასი“ , არ გაივლის ისე 1 წელიწადი, რომ თავ. გრიგოლ დავითის ძემ არ შემოსწიროს ჩვენს საზოგადოების წიგნთ-საცავს რამდენი"მე ძველი წიგნი ფული თუ ნივთი მისი სხვა და-სხვა დროს შემოწირული წიგნები თითქმის ერთ პატაჰა ბიბლიოტეკას შეადგენს და (გარდა სამეგრელოს თავადის და ალ. მესხიშვილის შემოწირულობი|სა, სხვა შემოწირულობა მის შემოწირულებას ვერ შეედრება. თავ. გრიგოლის შემოწირული ოქროს ვარაყით ნაწერი სახარება ბაგრატ მე-IV დროისა, ეფრემ მცირის ავტოგრაფი და უძეელესი სამკურნალო წიგნი სამუდამოდ დამამშვენებელი იქნება, ჩვენის ბიბლიოთეკისა. გრიგოლ გურიელი არ ჰზოგავს არც ხარჯს და არც შრომას, რომ მოიპოვოს ხელთნაწერები და შემოსწიროს ჩვენს საზოგადოებას. ჩვენ ვიცით, რომ ერთ ფრიად საყურადღებო და მდიდრულათ შემკობილ ხელთ-ნაწერში, რომელიც უცხო ტომთ ხელში ჩავარდნილა, გრიგოლმა 50 თუმანი აძლია, და ჩვენთვის ჰსურდა შემოეწირა, მაგრამ ვერ მოურიგდა. ვისურვებთ, რომ ასეთი გულ-შემატკივარი ჩვენს საზოგადოებას სხვაც აღ. მოსჩენოდეს.

ამას გარდა თავ. ილია პეტრეს ძის ნაკაშიძისაგან ჩვენ მივიღეთ „წერა -კითხის საზოგადოების“ გადასაცემათ შემდეგი მის მიერ შეკრებილი ხელთ-ნაწერები:

1) კრებული სხვა-და-სხვა დროს და სხვადასხვა შინაარსის ნაწერებისა , რომელშიაც მოქცეულია:

ა. წამება წმიდისა დიმიტრისა.

ბ. წამება წმიდისა რაჟდენისა.

გ. გარდამოცემა?, თქმული იოანე დამასკელისა.

დ. ექვსთა დღე დიდისა ბასილისა.ე. კაცისა შესაქმესთვის გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა.

ვ. ცხოვრება ნიკოლოზ მთავარი ეპისკოპოსისა, მირონ ქალაქისა.

ზ. ანდრია მთავარ-ეპისკოპოსის თარგმანება? გამოცხადებისა წმიდისა იოანე მახარობელისა.

?. ბუნებისათვს კაცისა თქმული ნემესიოს მიერ.

თ. მოთხრობა უღმრთოისა მახმედისათვს ბაგრატისა.

ი. მოკლე ისტორია მახმედისათ?ს და უწყება კურთხევისათ?ს. ხელ-ნაწერი შეიცავს სულ 290 ფურცელს, ინ ფოლიო.

2) ამირან დარეჯანიანი გადაწერილი ასტრახანს მხედრულის ხელით. თავი და ბოლო აკლია,

ეს წიგნი შეუწირავს ჩვენი საზო გადოებისათვის გორის მაზრის სოფელ ფლავის უბანში მცხოვრებ აზნაურ მიხეილ მაჭავარიანს.

3) მიმოსვლა ტელემაკისა და თინა. იდა, შეიცავს 292 ჰურცელს. წი გნში ჩართულია 24 სურათი. გადა. წერილია 1828 წ.

4) სამხედრო ტიბიკონი, ინ ფოლიო, შეიცავს 242 გვერდს, გადაწერილია 1824 წ.

5) ფსალმუნი დავითისი, ხუცური ხელთ.ნაწერი ქაღალდზე.

6) ჟამნი, დაწერილი ქაღალდზე ნუსხა ხუცურის ხელით, თავი და ბოლო აკლია.

ყველა ზემოხსენებული ხელ-ნაწერი გადაეცა „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

დარწმუნებული ვარ, ბევრმა იცის... მიზნიდან გამომდინარე წერილში არაფერია ნათქვამი გრიგოლ გურიელის სხვა სახის (მაგ., ძველებური ფულების კოლექცია შეწირულობებზე და მაინც, დარწმუნებულ ვარ მხოლოდ შეწირულობა არ არის გრიგოლ გურიელის 1896 წელს ქშწკგ საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის ერთადერთი მიზეზი.

მიზეზი ბევრი და ვფიქრობ, არაჩვეულებრივადაა გაშუქებული გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრის მიერ 2006 წელს გამოცემული **ილია თავბერიძის** მიერ შედგენილ მცირე მოცულობის, მაგრამ ძალზე საინტერესო კრებულში „ხალხის გულშემატკივარი კაცი - გრიგოლ გურიელი).

მენდეთ, გრიგოლ გურიელის შესახებ საკმაოდ ბევრი მასალაა გაბნეული იმდროინდელ და თანამედროვე პრესაში, მაგრამ, ვფიქრობ, ხსენებული კრებულიც საკმარისია „ხალხის გულშემატკივარი კაცის“ გასაცნობად ან/და გასახსენებლად გაზეთ „ალიონის“ ერთგულო და ჩემთვის ასე საპატივცემულო მკითხველო.

გიო კილაძე

დავით შემოქმედელი 70 წლისაა!

დავით შემოქმედელი. – ეს ფორუმი 2008 წლის მისში, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომამდე ორი თვით ადრე გაიმართა. ის დროა, რუსეთ-საქართველოს შორის პოლი-ტიკური დაძაბულობა პიკს აღწევს, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს. ფორუმი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. იმის გამო, რომ კონფლიქტური ზონიდან გახლდით, სადაც გამოჭრდებო-დი, ყურადღება ჩემკენ იყო მიმარ-ული. როცა ღონისძიებათა პროგრამა გამცნეს, ვნახე, სა-ქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაცია მისი თავმჯდომარის სახით ფორუმზე დამოუკიდებლად უნდა წარმოდგენილიყო. უმალ გავაპროტესტე და განვაცხადე: თუ ეს არ შეიცვლებოდა, ამ თემაზე ბრიფინგს გავმართავდი და პროტესტის ნიშნად ფო-რუმს დავტოვებდი. ჩემი განცხადების შემდეგ, როგორც „დამოუკიდებელი" სტრუქტული ორგანიზაციის ე. წ. „აფხაზეთის მწერალთა კავშირის", ხელმძღვანელის გამოსვლა ამოიღეს ღო-ნისძიებათა ნუსხიდან. გულუ-ბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი,რომ ჩემი პროტესტისა შეეშინ-დათ, უბრალ-ოდ ჩათვალეს, ეს საკითხი არ იყო იმჟამად იმდენად მნიშვნელოვანი და ზედმეტ ხმაურს მოერიდნენ. დასკვნით ღონისძიებას, რომელიც ძალზე მასშტაბური იყო, რუსეთის მა-შინდელი მთავრობის თავმჯდ-ომარე ვლადიმერ პუტინი დაესწ-რო. ჩემი კრიტიკული გამოსვლა, აღნიშნულ ფორუმზე, დაბეჭდილია ჩემი ესეისტური და პუბლიცისტური წერილე-ბის წიგნში „თანმდევი ფიქრი", 2014 წელი, გამომცემლობა „დავითი".

გიორგი გოგოლა-შვილი. დავით, თქვენი საუბილეო და შემოქმედებითი საღ-ლისში – რუსთაველის სახელმწიფო აკადემი-ურ თეატრში, ბერლინში, ბონში, ერევანში... როგორი განცდა.

დავით შემოქმედელი. მოკლედ ვიტყვი ესაა დღეები,ბოლო ამოსუნთქამდე რომ მემახსოვრება.

გიორგი გოგოლა-შვილი. – დავით, ახლა ტრადი-ციულ კითხვას დაგისვამ, თუ საიდუმლო არ არის, როგორია შენი სამომავლო შემოქმედებითი გეგმები?

დავით. შემოქმედელი – ამჟამად ვმუშაობ რომანზე, რომლის სავარაუდო სახელწოდებაა „ჰაკალ დამა". ჰაკალ დამა ბიბლიაში მოხსე-ნიებულია ადგილად,რომელსაც მეო-რენარად „ცოდვის მინდორი" ჰქვია. ადგილი, სადაც ცოდვილმა ოუდამ თავი მოიკლა. მოქმე-დება სამ დროში მიმდინარეობს: საბჭოთა პერიოდში, ეროვნულ-განმათავის-უფლებელი მოძრაობის აღმავ-ლობის ჟამს და პოსტსაბჭოთა ვითარებაში. შევეცდები ვაჩვენო ხელოვანის ბედი თანამედროვე პრაგ-მატულ სამყაროში. სურვილი მაქვს, ნაწარმოები გასცდეს ერთ ლოკალურ ქართულ სივრცეს და გაწზოგადდეს. ჰაკალ დამა ერთი დიდი მეტაფორაა ჩვენი დღევანდელი დედამიწის – ცოდვით დაცემული სამყაროსი. ნაწარმოებში გაიმლება **ფიქრები** იმაზე, რა ელის სამ-ყაროს,რა მიზანი აქვს კაცობრიობას. სამყარო სახიფათო პერიოდში შედის: ცოდვებმა უკვე პიკს უწია. ჩვენ ახლა უფსკრულის პირას ვდგ-ავართ: ან შეეძლებთ სულიერ კათარზისს, შეეძლებთ სულის ზრდას, დიდ სულიერ ფერისცვალე-ბას, ან არადა გავალთ ის-ტორიის ასპარეზიდან შერცხვენ-ილნი.

გიორგი გოგოლა-შვილი – დავით, მხოლოდ თქვენ ჩაატარეთ რუსთაველის 850 წლის იუბილე თბილისში, რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ისრაელში, ბერლინში. რას იტყვით.

დავით შემოქმედელი – ეს იუბილეები რომ არ ჩატარე-ბულიყო წარმოუდგენელი იყო, ჩვენ ამით საქართველოს სირცხვილი მოვწმინდეთ რუსთაველის წინაშე.

გიორგი გოგოლა-შვილი – დავით, რა არის შენთვის სამშობლო?

დავით შემოქმედელი– ვერ კიდევ შორეულ სიჭაბუკეში ისე ღრმად შემოვიდა სამშობლო ჩემში რომ ის ჩემგან ბოლო ამ-სუნთქამდე არსად წავა. როგორც ერთ ლექსში ვამბობ:

„მე საქართველოს რუკასავით
დაჩეხილ გულით
ჩემი სამშობლო – უფლის
კვართი – სხეულით დამაქვს"...

ერეკლე თავბერიძე და გიორგი მახარაძე საქართველოს ჩემპიონები არიან





ქ. ოზურგეთში ,ვახტანგ ბლა-გიძის სახელობის სპორტის სასახლემ ჭიდაობაში, კადეტთა შორის (თავისუფალი,ბერძნულ – რომაული სტილი) საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა.

ასპარეზობაში 500 – ზე მეტი სპორტსმენი, სხვადასხვა წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილ-ეობას.

ოზურგეთელმა და ლანჩხუთ-ელმა მოჭიდავეებმა საქართვ-ელოს პირველობაზე გამორჩეულ-ად ასპარეზეს და 11 მედლის, მათ შორის 2 ოქროს, 2 ვერ-ცხლისა და 7 ბრინჯაოს მედლის დატოვება შეძლეს.

ოზურგეთმა ჩემპიონატზე გუნ-დური მეორე ადგილი დაიკავა.

გურულებს პირველი ფინალი 45კგ. წონით კატეგორიაში ჰქო-ნდათ. ლანჩხუთელი **ნიკა ცეცხ-ლაძე** ქულით უგებდა ბათუმელ **ვ.ბაბა ბოლქვაძეს.** ბოლო წამებზე ბოლქვაძემ კარგად ისარგებლა ცეცხლაძის შეცდომით, ანგარიში გაათანაბრა და ჩემპიონი გახდა.

55 კგ. წონით კატეგორიაში ოზურგეთელები **ერეკლე თავ-ბერიძე** (მწვრთნელები ძმები ზურაბიანები) და რეზი გუჯაბიძე (მწვრთნელი კახაბერ აბაშიძე) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომელშიც თავბერიძემ მცირე უპირატესობით დაამარცხა მეტო-ქე.

უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ზაგრებში ევროპის პირველობაზე ასპარეზობდნენ, სადაც თავბერიძე ჩემპიონი გახდა, ხოლო გუჯაბიძე –ბრინჯაოს პრიზიორი. ერეკლე თავბერიძე მანამდე საქართველოს ორგზის ჩემპიონი იყო თავის ასაკის თანატოლებს შორის.

მესამე ფინალი გურულებს 80 კგ. წონით კატეგორიაში ჰქონდათ, სადაც ლანჩხუთელმა **გიორგი მახარაძემ** დიდი უპირატესობით (7:1) დაამარცხა ჭიათურელი **სბა გაფრინდაშვილი.**

ბრინჯაოს მედლებს დაეუ-ფლნენ ოზურგეთელები: **ლუკა კილაძე, დავით ზეინკლიშვილი, ლუკა ფიფია, კონსტანტინე ცეც-ხლაძე, გიორგი ტაკიძე** (48,55,60, 65,71 კგ. წონით კატეგორიაში); ლანჩხუთელი **თამაზ აბაშიძე** (71კგ. წონითი კატეგორია).

რაც შეხება თავისუფალ ჭიდაობას, აქ მხოლოდ ლანჩხ-უთელმა **ლუკა კუბუსიძემ** (110 კგ) შეძლოა ბრინჯაოს მედლის აღება.

როგორც შეჯიბრების მთავ-არმა მსაჯმა **ზაზა ჯიბლაძემ** (ფილას კატეგორიის არბიტრი) გაზეთ „ალიონთან" განაცხადა, რომ ოზურგეთში საქართველოს ჩემპიონატი კარგად ჩატარდა, დაკომპლექტდა ნაკრები, რომ-ლებიც ევროპის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

*– ვფიქრობ, საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენ-ლობაში გურულებიც არიან, ღირსეულად გამოვლენ, როგორც ევროპის, ისე მსოფლიო ჩემპი-ონატზე –*გვითხრა მან.

სკანვორდი



პასუხები:



ავტოკეფალისტური მოძრაობა 1905-1906 წლებში



თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რუსეთის საეკლესიო კრებისწინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილი იქნებოდა მხოლოდ მოხსენებები, ხოლო პოლემიკა არ გაიმართებოდა. მეორე განყოფილების სხდომაზე მოხსენებებით **ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი** და **ივან სოკოლოვი** წარსდგნენ. ალექსანდრე ცაგარელმა ამ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება: „XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალური საბუთებით საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის დამოწმება“. მოხსენება ძალზე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ალექსანდრე ცაგარელს მასში XVII-XVIII საუკუნეების ყველა მნიშვნელოვანი საბუთი აქვს მიმოხილული, რითიც კიდევ ერთხელ დასტურდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობის კანონიერება. მოხსენების ავტორმა აღნიშნა, რომ თითქოს გაბატონებული იყო მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საქართველო რუსეთთან შეერთებამდე (1801 წლამდე – ვ.გ.) არა მარტო „ფიზიკურად“, არამედ „სულიერადაც“ დაკნინებული იყო. ქართველმა მეცნიერმა იმ ფაქტზეც ისაუბრა, რომ იყო მცდელობები, ფიზიკურად და სულიერად დაკნინებულ საქართველოს მხსნელად რუსეთი გამოეცხადებინათ. ალექსანდრე ცაგარელი მიიჩნევდა, რომ ამ მოსაზრების გაქარწყლება ძალიან მარტივად შეიძლებოდა. საკმარისი იყო, ადამიანი საქმის არსს ბოლომდე გასცნობოდა, რომ ასეთ დასკვნას ვეღარ გამოიტანდა. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები კი მრავლად მოიპოვებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ამსახველ დოკუმენტებში.

მოხსენების ბოლოს ალექსანდრე ცაგარელმა ისაუბრა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიულ, კანონიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ქართველმა მეცნიერმა სამივე თვალსაზრისით დაასაბუთა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოხდა უკანონოდ და სამართლიანობა ითხოვდა კანონიერების აღდგენას. საკითხის პრაქტიკული კუთხით გადაწყვეტა საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ ალექსანდრე ცაგარელმა ძალიან მარტივად და ამავე დროს საკმაოდ დამაჯერებლად ახსნა. რუსი მეცნიერები და სამღვდელოება ქართველთა წინააღმდეგ იყენებდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორია დასახლებული იყო სხვადასხვა ტომით (ხალხებით –ვ.გ.). ამ მოვლენით ცდილობდნენ ისინი საკუთარი გადაწყვეტილების გამართლებას. მათი აზრით, ავტოკეფალიის მინიჭება საქართველოს ეკლესიისათვის ეთნიკურ დაპირისპირებას გამოიწვევდა. ქართველმა მეცნიერმა კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობა პრაქტიკული კუთხით ასე ახსნა: „რადგან ივერიის ეკლესია ოდითგანვე ითვლებოდა ერთიან და განუყოფელ ეკლესიად, ამიტომ მთელ ამ საეკლესიო ოლქში უნდა იყოს ერთი კათოლიკოსი: 1. სივრცე მეტად მცირეა, ორი-სამი გუბერნიის ოდენა; 2. ასეთია სურვილი სასულიერო პირებისა და მოსახლეობისა; 3. საქართველოში რუსეთთან შეერთ-ებამდე ყოველთვის იყო ერთი კათოლიკოსი; 4. ორი კათოლიკოსის შენახვა მეტად ძვირი დაჯდება; 5. იყო დრო, როდესაც საქართველოშიც იყო ორი კათოლიკოსი. ეს გამოწვეული იყო საქართველოს დაქუცმაცებით სამ სამეფოდ და რამდენიმე დამოუკიდებელ სამთავროდ, რომელთა მეფეებსაც სურდათ, ჰყოლოდათ დამოუკიდებელი ეკლესიის მმართველი თავისსავე სამეფოში. საქართველოს საეკლესიო ოლქის მო-სახლეობის მრავალტომობრივი (მრავ-ალეროვანი –ვ.გ.) შემადგენლობა არავითარ შემთხვევაში არ იქნება ავტოკეფალიის მინიჭებისათვის დაბრკოლება, რადგან არც ძველად იყო შემაფერხებელი, როდესაც საქართველოში, როგორც ახლა, სხვადასხვა ტომის ხალხები ცხოვრობდნენ“. ასე დაასრულა ალექსანდრე ცაგარელმა თავისი პირველი მოხსენება. კამათი მოხსენების ირგვლივ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე არ შემდგარა.

ალექსანდრე ცაგარლის გამოსვლის შემდეგ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 5 დეკემბრის სხდომაზე **ალექსანდრე ხახანაშვილი** წარსდგა მოხსენებით – **„საქართველოს ეკლესიისა და განათლების მდგომარეობა XVIII საუკუნეში“.** მოხსენების ავტორმა მცირე ზომის ნაშრომში შეძლო მთლიანად მიმოეხილა განათლების საკითხი საქართველოში. ალექსანდრე ხახანაშვილმა აქაც ყურადღება გაამახვილა ეკლესიის როლზე და სამონასტრო კერებზე, რომლებშიც აქტიურად მიმდინარეობდა საეკლესიო-საგანმანთლებლო მოღვაწეობა. ქართველმა მეცნიერმა მოხსენებაში ისაუბრა იმ აღმოსავლურ და დასავლურ ტენდენციებზე, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში მეტნაკლებად აისახებოდა. მიუხედავად ამისა, მოხსენების ავტორი თვლიდა, რომ საქართველოში განათლება ვითარდებოდა „ეროვნული სულისა და ეროვნული ტრადიციების შესაბამისად“, რომელმაც თავის უმაღლეს საფეხურს „ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდში, X საუკუნიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე, მიაღწია.

მოხსენებაში ალექსანდრე ხახანაშვილი შეეცადა, კულტურის არც ერთი მოღვაწე არ დაეტოვებინა უყურადღებოდ. მან თითოეული მათგანის მოღვაწეობის თაობაზე და მათი ნაშრომების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ქართველ მეცნიერს ამ თვალსაზრისით არც საქართველოს მეფეები დავიწყებია. ალექსანდრე ხახანაშვილმა მიმოიხილა თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფის, ვახტანგ VI-ის კულტურული მოღვაწეობა. მოხსე-ნების ავტორმა განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას და ქართული სტამბის დაარსების მნიშვნელობას. ამით დაასრულა ალექსანდრე ხახანაშვილმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 5 დეკემბრის სხდომაზე გამოსვლა.

სხდომა გაგრძელდა პროფესორ **ივან სოკოლოვის** მოხსენებით – **„საქართველოს ეკლესია XVIII საუკუნეში“.** ივან სოკოლოვი, რომელიც, წესით, საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, საკუთარი კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველად იქცა. რუსი მეცნიერის მოხსენებას დასაწყისშივე ახლავს ასეთი შენიშვნა: „ამ ისტორიული ნარკვევის ძირითადი ამოცანაა, მოკლედ მიმოიხილოს საქართველოს ეკლესიის ზოგადი მდგომარეობა საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში. ეს კი იმას გულისხმობს, რომ წინამდებარე ნარკვევში მოცემული კერძო საკითხი შემდგომში შეიძლება გამოყენებული იყოს უფრო ვრცელი გამოკვლევისათვის. ავტორს არც საფუძველი და არც უფლებამოსილება არ ჰქონდა, უფრო განევრცო თავისი შრომა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე განყოფილებას დასჭირდება საქმის უფრო ვრცლად წარმოდგენა, ავტორი ამასაც აღასრულებს. სწო-რედ მეორე განყოფილების დავა-ლებით შედგა ეს მოხსენება და ამ შემთხვევაშიც ძირითადი მოთხოვნა იყო, რომ მოკლედ, ნარკვევის სახით წარმოდგენილიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის მიმოხილვა, რომელსაც საერთო ხასიათი უნდა ჰქონოდა. მოხსენების ობიექტურობაში ეჭვის შეტანა არ უნდა იყოს არავის მიზანი და სურვილი, რადგან ნარკვევი ისტორიულ საბუთებზეა დაფუ-ძნებული. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ავტორის შეხედულებები არანა-ირი ეჭვის საფუძველს არ წარმოადგენენ“.

ამით უკვე ცხადი იყო, თუ რა გამოხმაურება ექნებოდა ივან სოკოლოვის მოხსენებას რუსი კოლეგების მხრიდან. ზემოთ ითქვა, რომ ნარკვევი წარმოადგენდა საქართველოს საერო და საეკლესიო ცხოვრების მოკლე მიმოხილვას. აი, როგორ აფასებს რუსი მეცნიერი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას: „თითქმის მთელი XVIII საუკუნის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური ვითარება მეტად მძიმე იყო. ამ საუკუნეში ქვეყნის ისტორია უწყვეტ მარტიროლოგიას, განუწყვ-ეტელ ომებზე თხრობას, ურთიერთ-გაუტანლობას, ქალაქებისა და სოფლების გაუკაცრიელებას, ქართულენოვანი მოსახლეობის მასიურ ხოცვას წარმოადგენს. საქართველო შეუსვენებლივ იწვის, სისხლისაგან იცლება, იდევნება ხალხი. სპარსელები და თურქები ურთიერთმონაცვლეობით ეჯიბრებიან ერთმანეთს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაუფლებისათვის – იმორჩილებენ ხან ქართლს, ხან კახეთს და ხანაც იმერეთს. არც ქვეყნის დედაქალაქი, თბილისი, გადაურჩა საბედისწერო მოვლენებს. ცეცხლითა და მახვილით ნადგურდებოდა ქალაქები, ისპობოდა მოსახლეობა.“

ივან სოკოლოვმა მოხსენების პირველ ნაწილში მიმოიხილა საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნეში, მეორე ნაწილი კი მთლიანად ეკლესიის მდგომარეობის აღწერას დაუთმო. რუსი მეცნიერის აზრით, ცხადი იყო, რომ ქვეყნის პოლიტიკური ვითარება აისახებოდა საეკლესიო ცხოვრებაზეც, რადგან ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა: „საქართველოს ეკლესიის საერთო მდგომარეობა XVIII საუკუნის განმავლობაში ასევე მეტად მძიმე იყო, რადგან ის მჭიდრო კავშირში იყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამყარებულ ურთიერთობასთან... ერთის გაჭირვება მეორეზე აისახებოდა. აქედან გამომდინარე, ეკლესიაც სპარსელებთან და თურქებთან გაუთავებელი ომებისაგან, ლეკებისა და ოსების თარეშისაგან განიცდიდა არანაკლებ შეჭირვებას. ამასთან ერთად, ეკლესიაზე დიდი გავლენა ჰქონდა შინაარსლილობასა და გათ-იშულობას. ყველაფერთან ერთად, ამ არეულ ეპოქაში ეკლესიამ მთელი თავისი ქონებაც დაკარგა. ტაძრები და მონასტრები მთლიანად მოისპო. ეკლესიის მრევლს სამღვდელო დასთან ერთად დაუნდობლად ანადგურებდნენ“. რუსი მეცნიერის ამ შეფასებიდან კარგად ჩანს ის სირ-თულეები, რომელთა დაძლევაც საქარ-თველოს ეკლესიას მოუხდა. ამ ფონზე პროფესორი სოკოლოვი შეეცადა წარმოედგინა ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირი, რომლის დამადასტურებელი მაგალითები უხვად იყო მოცემული საისტორიო წყაროებში. რუსმა მეცნიერმა ამ კუთხით შეაფასა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა. იგი თვლიდა, რომ ვახტანგ VI, როგორც ღვთისმოშიში ადამიანი, ბევრს ზრუნავდა ეკლესიის კეთილდღეობისათვის. გამეფებისთანავე მან საკათოლიკოსო ტახტზე აღადგინა კათოლიკოსი ნიკოლოზი, რომელიც უსამართლოდ იყო განდევნილი ერეკლე I ნაზარალი ხანის დროს. ვახტანგ VI-ის ინიციატივით განახლდა ტაძრები და მონასტრები, მანვე უბოძა უძრავი ქონება ეკლესიას და მისი თაოსნობით თბილისში სტამბა დაარსდა, რომელშიც იბეჭდებოდა სამღვდელთმსახურო და საღვთისმეტყველო წიგნები. სოკოლოვის აზრით, ვახტანგ VI-ის დროს მოწესრიგდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, განისაზღვრა კათოლ-იკოსის მდგომარეობა. რუსი მეცნიერი ასე აფასებს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდს: „საერთოდ, ვახტანგ VI ცდილობდა მოეშუშებინა ის ჭრილობები, რომლებიც ეკლესიას გაუთავებელი ომებითა და ქვეყნის შიგნით არსებული მუდმივი შუღ-ლისაგან მიადგა. იგი ეკლესიის დიდი შემწე და დამცველი იყო. ასევე ზრუნავდა იმისთვისაც, რომ ამ უკანასკნელს მუდამ ჭეშმარიტი გზით ევლო და არსებულ მდგომარეობაში ყოველთვის სწორი არჩევანი გაე-კეთებინა. მეფე, შეძლებისდაგვარად, მისდამი დასახულ ამ უდიდეს ამოცანებს ახორციელებდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ყველაფერი მოესწრო თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი და სრული აშლილობის ხანას დამთხვეული მეფობის ჟამს. ბოლოს ხელმწიფე ტახტსაც და ხარისხსაც შეელია ეკლესიისადმი თავისი ერთგულების გამო, რადგანაც სპარსეთის შაჰის მოთხოვნას, განდგომოდა ქრისტიანობას, ცივი უარით უპასუხა“.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 1906 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე, როგორც ითქვა, პოლემიკა არ გამართულა. ქართველ მეცნიერ ალექსანდრე ცაგა-რლისა და რუს მეცნიერ ივან სოკოლოვის, მოხსენებების თაობაზე პოლემიკა საეკლესიო კრების წინარე თათბირის 1906 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე შედგა.

1906 წლის 8 დეკემბრის სხდომა. 1906 წლის 8 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე, მას მთავარ-ეპისკოპოსი **ნიკანდრი (ნიკოლაი ფენომენოვი)** თავმჯდომარეობდა. კრებას ესწრებოდნენ: **ანტონი** - ვოლინის მთავარ-ეპისკოპოსი, **სტეპანი** - მოგილიოვის ეპისკოპოსი, **კირიონი** - სოხუმის ეპისკოპოსი, **ლეონიდი** - იმერეთის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **ტიმოფეი ბუტკევიჩი, იოანვოსტორგოვი, ფიოდორ ტიტოვი, პ. ი. სოკოლოვი ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვიჩი; პროფესორები: ილია ბერდნიკოვი, მიხაილ ოსტრ-ოუმოვი, ნიკოლაიგლუბოკოვსკი, ნიკოლაი ივანოვსკი, ალექსანდრ ალმაზოვი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ ბრილ-იანტოვი, პაველ მანსუროვი, ნიკო მარი, ალექსანდრ ცაგარელი** და **ივან პალმოვი.** სხდომას ასევე ესწრებოდნენ უწმიდესი სინოდის კანცელარიის უფროსი **ს. პ. გრიგოვსკი,** უწმიდესი სინოდისა და კანცელარიის ბუღალ-ტერი **ვ. ფ.ტრელინი**. სხდომა ჩატა-რდა უწმიდესი სინოდის სამეცნიერო საბჭოს დარბაზში.

რუს მეუფეებსა და მეცნიერებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წინააღმდეგ შემდეგი არგუმენტი მოჰყავდათ: **უწმინდეს სინოდში შეისწავლეს ყველა ცნობა, რომლებიც საქარ-თველოს ეკლესიის ავტოკეფალუ-რობას ადასტურებდა და აღმოჩნდა, რომ არც ერთ მსოფლიო თუ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურად არ იხსენიებოდა.** რაც შეეხებოდა ამ ეკლესიის "პირველი ეპისკოპოსის" ტიტულს, ცნობილი იყო, რომ ეს ტიტული - "კათოლიკოს-პატრიარქი" - თავისთავად ნიშნავდა "მსოფლიო პატრიარქსაც". ასეთი ტიტული კი, **ტიმოფეი ბუტკევიჩის** თანახმად, ეკუთვნოდა მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ბუტკევიჩი ასკვნიდა, რომ ანტონ I კათოლიკოსს "პირველი ეპისკოპოსის" ტიტული არც ერთი საეკლესიო კრების დადგენილების თანახმად არ ჰქონია ბოძებული. ზემოაღნიშნულიდან გამო-მდინარე, უწმიდესმა სინოდმა და იმპერატორმა დაადგინეს, რომ ანტონი I მოეხსენებინათ არა კათოლიკოსად, არამედ **"ქართლის, კახეთის, ალავერდისა და ზედა ივერიის მთავარეპისკოპოსად"**. ამ ტიტულის მატარებელს უპირატესობა ჰქნოდა საქართველოში მოღვაწე ყველა ეპისკოპოსთან შედარებით და არა – რუსეთში მყოფ მაღალ სამღვდელოებაზე. უწმიდესმა სინოდმა ქართველ მღვდელმთავარს საცხოვრებლად არა პეტერბურგი, არამედ მოსკოვი ურჩია, თუმცა, რუსული ენის არცოდნის გამო, კათოლიკოსს სამი წლის განმავლობაში არ მისცეს ღვთის-მსახურების აღვლენის უფლება. დეკანოზ ბუტკევიჩის აზრით, ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა უწმიდესი სინოდისათვის, რათა ქართველი მღვდელმთავრის საკითხი შეესწავლა. როდესაც უწმიდესი სინოდი დარწმუნდა ანტონ I-ის უდანაშაულობაში, 1757 წელს იგი ვლადიმირის ეპარქიის მღვდელმთავრად განაწესა. ოთხი წლის შემდეგ, ქართველთა თხოვნით, ანტონ I კვლავ დაბრუნდა საქარ-თველოში, როგორც კათოლიკოსი.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 515-518

დასაწყისი იხ. „ალიონი“№18-32,2022წ. №3-7, 2023 წ.

„გურია სიყვარულია“–გიზო გიორგაძის პერსონალური გამოფენა

ალიონი. ჩოხატაურის ედმონ კალანდაძის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში მხატვარ გიზო გიორგაძის პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „გურია სიყვარულია“ გაიხსნა, რომელიც მისი დაბადების 75 წლისთავს მიეძღვნა.

გამოფენის გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **მაია კუტუბიძე,** კულტურის სამსახურის უფროსი **თეა მამლაძე, მაია პაიჭაძე** –მერის თანაშემწე; **მარი შოშაშვილი** –არაფორმალური განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი; გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩია,** გურიის კულტურის ფონდის თავმჯდომარე, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელი მხატვარ-დიზაინერი **ავთანდილ თავართქილაძე,** ხატმწერი **გოჩა გიორგაძე** და სხვები.

გამოფენის პრეზენტაციაზე ავთანდილ თავართქილაძემ განაცხადა, რომ სასურველია ჩოხატაურში გიზო გიორგაძეს გაუხსნან მისი სახელობის „ოქროს პალიტრა“ და გამოსცენ საიუბილეო ბუკლეტი. მომავალში კი ეს ტრადიციად იქცეს და სხვა მუნიციპალიტეტებშიც დამკვიდრდეს.

მზია კვინტარაძე, მხატვარი, ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის დირექტორი: – *გიზო გიორგაძემ თბილისის სამხატვრო აკადემია დამთავრა. ..2006 წელს იგი საცხოვრებლად ოჯახთან ერთად სოფელ ანეულს დაუბრუნდა და ჩოხატაურის სამხატვრო სკოლაში დაიწყო მუშაობა პედაგოგად.*

მისი შემოქმედების ძირითადი შემადგენელი ნაწილი მუქი ფონია, რაც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ძნელბედობას, რომელიც ჩვენს ქვეყანას არასოდეს აკლდა, რის საპირისპიროდ მხატვარი გვიჩვენებს ოპტიმიზმითა და გმირობით გამსჭვალულ პერსონაჟებს, სამშობლოსათვის თავდადებულებს, მებრძოლებს, სიცოცხლის ტრფიალებს, სიყვარულისთვის სიკვდილზე წამსვლელებს, ქვეყნისა და ხალხის დამცველ რაინდებს...

გიზომ გაართიანა გრაფიკა და ფერწერა და შექმნა ფერწერული გრაფიკა. თვალსაჩინოა მისი ისტორიული ჟანრში შესრულებული ნამუშევრები: „არსაკიძის მარჯვენა,“,„გიორგი საკაძის გმირობანი“„მაია წყნეთელი,“,„ლელო,“,„სამი ძმები გურულები,“„ისინდი,“,„ბახმაროს ტრადიციის გაცოცხლება და ა.შ“ მის ნამუშევრებში ვხედავთ ნოდარ დუმბაძის გაცოცხლებულ გმირებს.

გიზო გიორგაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ლეგენდებს, ამ თემაზე შექმნილ ნახატებს: „ვეფხვი და მოყმე,“,„ბულარა,“,„მარიამ ბუკისციხელი“ და ა.შ.

თამაზ დარჩია: – *მხატვრის მერ განვლილი ცხოვრების გზის თვალის გადევნება მთელი სისავსით წარმოაჩენს იმ უშრეტ ენერგიას, რომლითაც იგი სტუდენტობის წლებიდან ესწრაფვოდა. აკადემიაში მისმა სადიპლომო ნამუშევარმა მისი პედაგოგების დიდი ყურადღება მიიპყრო.*

ამჟამად იგი ჩოხატაურის სამხატვრო სკოლაში ასწავლის და არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის აღმზრდელია. არის საქართველოს მხატვართა კავშირის და გურიის რეგიონული მხატვართა კავშირის წევრი. ყოველწლიურად მონაწილეობს რეგიონულ გამოფენებში. მისი პერსონალური გამოფენები გაიმართა ქუთაისში, ზუგდიდში...ამჟამად ეს მისი მესამე პერსონალური გამოფენაა, რომელსაც ვესწრები და ვხედავ მხატვარი მუდმივად თავისი სტილის ღრმად განვითარებას ცდილობს, რაც მას კარგად გამოსდის. ვიტყოდი, რომ იგი არის ინდივიდუალური მხატვარი, რომელსაც თავისი ხელწერა და გურული შტრიხები გაჩნია, რითაც ეს მხატვარი არის საინტერესო.

ავთანდილ თავართქილაძე: – გიზო გიორგაძე გახლავთ სახვითი ხელოვნების დიდი მაესტრო, –ამაგდარი შემოქმედებით, ცხოვრების წესის მატარებელი პიროვნება, რაც დამახასიათებელია მხოლოდ პროფესიონალი შემოქმედთათვის, რომლისთვის ის პროფესიაზე მეტი მოვალეობაა და მოითხოვს მთელი ცხოვრების შეწირვას ამ ღვთით ნაბოძები ნიჭისათვის.

მის შემოქმედებაში არის ეროვნული სულით გაჟღენთილი ორიგინალური კომპოზიციები, რაც ხასიათდება საკუთარი ხელწერის განსაკუთრებული მანერით და ინდივიდუალიზმით. ამავე დროს თანამედროვე ინტერპრეტაციით – კრეატიულობით. თემები არის ტრადიციული, მაგრამ საოცარი მისტიურობითა და იდუმალებით წარმოჩენილი.

ის არის ძალზედ პროდუქტიული მხატვარი. მისთვის, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა აქვს გამოფენის პრეზენტაციას, რადგან იგი დაკავშირებულია ფართო მასებთან კომუნიკაციასთან. მას ასევე შეუძლია საკუთარი ნამუშევრების თავად წარმოჩენა და ახსნა-განმარტება, რაც ხელოვანთა შორის ერთეულთა ხვედრია.

გურიის კულტურის ფონდს მიაჩნია, რომ ბატონი გიზო არის სწორედ „ოქროს პალიტრის“ ჭეშმარიტი კანდიდატი. ის იმსახურებს შესაფერის ყურადღებას და დაფასებას, რის გამოხატულება იქნება მუნიციპალიტეტიდან მისი შემოქმედების ამსახველი ბუკლეტის გამოცემა და „ოქროს პალიტრის“ გახსნა.

ზურაბ გადახაბაძის გახსენება

ანსამბლ „შვიდკაცას“ აქვეყნებდა **ზურაბ გადახაბაძე,** რომლის გარდაცვალებამ განსაკუთრებული ჭრილობა დაჩინა ჩემს გულს, რადგან იგი ჩემი კარგი მეგობარი იყო.

საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა.

ზურაბ (თეიმურაზ) გადახაბაძე 1939 წლის 25 აგვისტოს დაიბადა სოფელ შრომაში. მამა – გრიგოლი სოფლის ბუღალტრად მუშაობდა. ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში და იქედან აღარ დაბრუნებულა. დედა – ფატი ლესელიძე დასახლისი იყო.

ზურაბმა საშუალო განათლება სოფელ შრომის საშუალო სკოლაში მიიღო. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქიმიის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მოსკოვის სამხედრო ოლქში მსახურობდა.

დაბრუნდა ჯარიდან და მუშაობა დაიწყო თბილისის ბალნეოლოგიურ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკად. შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნდა და 1970-1973 წლებში იგი ცნობილი მაღაროთა სამმართველოს ქიმიური ქარხნის უფროსად მუშაობდა.

1974 წელს ნიჭიერი ხელმძღვანელი და სპეციალისტი გადაიყვანეს მაღაროთა სამმართველოს მთავარ ტექნოლოგად.

1981 წლიდან გურიის რეგიონის კინოფიკაციის უფროსად დანიშნეს, ხოლო 1985 წელს ახლადშექმნილ ჩაის ნატურალური კონცენტრატების კომბინატის მთავარ ინჟინრად, სადაც 5 წელი იმუშავა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სოფელ ორმეთის გამგებლად მუშაობდა, სადაც 1998 წლამდე დაჰყო...

ზურაბი კარგ ხელმძღვანელთან ერთად კარგი მომღერალიც იყო. თავის საქმიანობას კარგად უთავსებდა სახელოვნებო საქმიანობას. იგი, გასული საუკუნის 70-იან წლებში მიხეილ შავიშვილმა მიიწვია ანსამბლ „შვიდკაცაში“, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იყო ამ ანსამბლის წევრი.

ზურაბ ანსამბლში გამოირჩეოდა განათლებით, თავმდაბლობით, უფროსის პატივისცემით და რაც მთავარია კაცური კაცობით. რომ იტყვიან, მას კაცობაში არასდროს არაფერი არ ეშლებოდა.

მისი კაცურ კაცობიდან ერთი მომენტი მინდა გავიხსენო:

უცხოეთში, ერთ-ერთი საგასტროლოდ გაგზავრების წინ მოხდა ისე, რომ საგასტროლო ტურნეში „შვიდკაცას“ ათი წევრის ნაცვლად ცხრა ჩაგვისვეს. ერთი წევრის ნაცვლად საქართველოს კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო წამსვლელთა შორის.საგასტროლოდ წასასვლელად შეეკრიბეთ ოზურგეთის რაიონულ კულტურის სახლში და ანსამბლის ხელმძღვანელი მიხეილ შავიშვილი გვიცხადებს: –ბიჭებო, ასეთია ზემოდან დავალება –ერთერთი ჩვენგანი უნდა დარჩესო.

ძალიან დიდ უხერხულობაში ჩავვარდით. იმ დროს უცხოეთში იშვიათად მიდიოდნენ ანსამბლები და რა თქმა უნდა ყველას წასვლა უნდოდა. არავინ იღებს ხმას.

მიხეილმა რატომღაც მე გამიხმო და მითხრა: –ტრისტან, გამომიყვანე ამ უხერხული მდგომარეობიდან და შენ თქვი ვინ დავტოვოთო.

მე მას სასტიკი უარი ვუთხარი: –ხელმძღვანელი შენ ხარ და შენ გაარკვე საქმე, ან თუ საჭიროა, საერთოდ უარი ვთქვათ გასტროლზე წასვლაზე მეთქი.

–მაგი არ შეიძლება, –მითხრა მიშამ...

მოკლედ ასეთ დავიდარაბაში ვართ და უცებ გვესმის ზურიკოს ბოხი ხმა: –ხალხნო, მე ყველაზე გვიან მოსული წევრი ვარ „შვიდკაცაში“, მე მეკუთვნის დარჩენაო. აიღო წასავლელად გამზადებული თავისი ჩემოდანი, გამოგვემშვიდობა, მშვიდობით მგზავრობა და წარმატებები გვისურვა და წავიდა... ეს, მის დიდ ბუნებაზე ლაპარაკობს.

ზურაბს შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა. ჰყავდა ძალიან კარგი მეუღლე – მადონა კიმინსკი. ეყოლათ ორი ვაჟი –ირაკლი და გრიგოლი. გრძელდება ცხოვრება გადახაბაძეების ოჯახში, სადაც ამჟამად ლამაზი მოგონებაა მისი.

ზურაბი 2012 წლის 26 მაისს 71 წლის ასაკში გარდაიცვალადატოვა ლამაზი სახელი, რომელსაც არ დავიწყებს ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრები და ყველა ის ადამიანი ვინც მას იცნობდა.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ჟურნალი.

სილნაღის ფესტივალისთვის ემზადებიან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრში მორიგი პრემიერა გაიმართა.

გიორგი ნახუცრიშვილის პიესის მიხედვით „ჭინჭრაქს“ ახალი დადგმა განახორციელს. პიესა რეჟისორმა რევაზ ბანაზიშვილმა განახორციელა.

გთავაზობთ მასთან საუბრის ჩანაწერს:

–ბატონო რევაზ, თქვენ არაერთ პროფესიულ თეატრში მუშაობდით. რამ განაპირობა თოჯინების თეატრების მიმართ თქვენი არჩევანი?

–თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი დავამთავრე (პროფესორ გივი სარჩიმელიძის ჯგუფი). თავდაპირველად რამდენიმე დრამატული ნაწარმოები დავდგი „ბაკულას ღორები,“ „დარისპანის გასაჭირი,“ „სიყვარულის ხაფანგი;“ „დიდრო“ მეტეხის თეატრში. ერთ დღესაც გადავწყვიტე თოჯინურ სპექტაკლები დამედგა და დღემდე საქართველოს თითქმის ყველა თოჯინურ თეატრში მიწვეული რეჟისორის პროექტით 50 სპექტაკლზე მეტი დადგმა მაქვს განხორციელებული. დადგმები უცხოეთშიც (უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი) განვახორციელე. ამჟამად ვმუშაობს ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

–ნახუცრიშვილის პიესის მიხედვით „ჭინჭრაქს“ ახალ დადგმას ახორციელებთ...

– ოზურგეთის თოჯინების თეატრში ეს მეხუთე პიესაა. ეს არის ექსპერიმენტული დადგმა, სადაც გაერთიანებულია ჩრდილების და თოჯინების თეატრი.

ჩვენი ქართული თეატრის ფუძე ბერიკებია. ამ სპექტაკლში „ქართული დევი“ არ გვყავს, არამედ უცხოელი, რომელმაც დავვიპყრო...

სპექტაკლში მთელი დასი მონაწილეობს. მთავარ როლებს ასრულებენ: გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი ვაშალომიძე, ელენე კვარაცხელია; დებიუტანრი ბესო ჯაჯანიძე. – ზაფხულში სილნაღის თეატრალური ფესტივალი იმართება...

–საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, წელს სილნაღში პირველი თატრალური ფესტივალი იმართება. „ჭინჭრაქ“ მიგვაქვს. იმედი გვაქვს წარმატებას მივაღწევთ...

მზე, ღრუბელი +11+22	ღრუბელი +8+19	ღრუბელი +6+15	წვიმა +4+11	წვიმა +6+14	ღრუბელი +6+14	წვიმა +8+21
10 აპრილი	11 აპრილი	12 აპრილი	13 აპრილი	14 აპრილი	15 აპრილი	16 აპრილი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა